# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

8 ივნისი
ხუთშაბათი
2023 წელი
№24 (9286)
ფასი 40 თეთრი


## ტურისტულ სეზონს მომზადებული შევხვდეთ

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებისა და ტურისტული პოტენციალის გასაუმჯობესებლად არაერთი პროექტი ხორციელდება - იგება გზები, წესრიგდება ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილები, რეაბილიტაცია უტარდება სკვერებს, საცხოვრებელი კორპუსების ფასადებს, ეწყობა მწვანე საფარი. აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სოფლების გაზიფიცირებაც.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელთაც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ახორციელებს, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, **ბესიკ ამირანაშვილი** ადგილზე გაეცნო.

ქალაქ ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე, სანაპიროზე სკვერი ეწყობა. პროექტის მიხედვით, ტერიტორიაზე ჩაისხა საყრდენი კედელი, შიდა ბილიკები, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, ფიტნეს-ტრენაჟორები, ფანჩატური, დეკორატიული საბალე სკამები, სანაგვე ურნები, დამონტაჟდება დეკორატიული ლამპიონები და ჩატარდება გამწვანების სამუშაოები. პროექტი ორ ეტაპად განხორციელება და მისი საერთო ღირებულება 800 000 ლარზე მეტია.



ასევე აქტიურ ფაზაშია სარეაბილიტაციო სამუშაოები რუსთაველის ქუჩაზე, სადაც სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავებისა და ფასადების მოწყობა მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში სახურავები, ხის კარ-ფანჯრები ალუმინისა და მეტალპლასტმასით იცვლება, მოწესრიგდება აივნების მოაჯირები, ასევე შებათქაშდება ფასადები, ცოკოლი მოპირკეთდება ბუნებრივი გრანიტით, ფასადებზე მოეწყობა დეკორატიული განათება.

დასრულების ეტაპზეა კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციაც. პროექტის მიხედვით დაგეგმილია გზის მოწესრიგება, დაიგება ორფენიანი ასფალტის საფარი, მოეწყობა მიწისქვეშა სანიაღვრე ქსელი და ტროტუარები.

მესხეთის ქუჩაზე კი არსებული ავტობაზის ტერიტორიაზე მდებარე შენობისა და ტერიტორიის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ავტოფარეხის რეაბილიტაციის პროექტის თანახმად, დაგეგმილია ძველი ამორტიზებული შენობების დემონტაჟი, ადმინისტრაციული შენობის სრული რეაბილიტაცია და ავტობუსის სადგომების მოწყობა მეტალის კონსტრუქციით. ასევე, ტერიტორიაზე განთავსდება ავტობუსების სამრეცხაო და სახელოსნო. ამასთან, მოეწყობა ფერდის დამჭერი საყრდენი კედელი, დამონტაჟდება გარე განათების სისტემა და მოწესრიგდება კანალიზაციის ქსელი.

ინფრასტრუქტურული პროექტები დასრულების ეტაპზეა მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებშიც:

სოფელ საკირეში რეაბილიტაცია უტარდება შიდა საუბნო გზას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტის დაგება. პროექტის ღირებულება ნახევარ მილიონ ლარამდეა.

სოფელ ქვაბისხევში ეკლესიასთან მისასვლელი გზა ლეთდება. პროექტით გათვალისწინებულია საავტომობილო გზის მოწესრიგება, რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა და ეზოს შესასვლელის მოწესრიგება.

სოფელ ჭობისხევში კი სკოლის უკან მდებარე უბნამდე მისასვლელი გზის მოწყობის სამუშოები მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, დაგეგმილია გზის რეაბილიტაცია, სადაც ბეტონის საფარი დაიგება.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს 12 პროექტს ახორციელებს და მათი ჯამური ღირებულება 9 მილიონ ლარამდეა.

სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს სამცხე-ჯავახეთის ვიცე-გუბერნატორმა **დავით ვარდიაშვილმა,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** პირველმა მოადგილე **გიორგი ტაბატაძემ,** ასევე, სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

## ბორჯომის ცენტრში სახელმწიფო დროშა აღიმართა



## მიეძღვნა ბავშვთა დაცვის დღეს

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სხვადასხვა გასართობი ღონისძიებით აღინიშნა.

ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრში სპექტაკლის ჩვენება გაიმართა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დღის ცენტრ „თებეს" ბენეფიციარებს საჩუქრები გადასცეს.

დილიდან ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში უამრავმა ბავშვმა მოიყარა თავი. დღის პირველ ნახევარში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ატრაქციონები მათთვის უფასო იყო.

ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, ბორჯომის ახალგაზრდა მხატვრის თეონა პაპუაშვილის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

ღონისძიებები სპორტული ნაწილით გაგრძელდა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ა(ა)იპ სასპორტო სკოლის მოსწავლეები.



შემდეგ კი ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

კონცერტის პარალელურად, ბავშვებისთვის საზეიმო განწყობის შექმნაზე მხიარული ანიმატორები ზრუნავდნენ. ასევე, მათ სხვადასხვა აქტივობაში შეეძლოთ ჩართვა (მეგა ჩაძირობანა, მინი-გოლფი, გიგანტური საპნის ბუშტები, სახის მოხატვა, ბუშტის ფიგურების აწყობა).

დღის ბოლოს, საზეიმო განწყობის შექმნაზე ვოკალურმა ანსამბლმა „ჩოხოსნები" და სტუდია „ენკი-ბენკის" ბავშვებმა იზრუნეს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძემ** და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ნიკოლოზ კიკნაძემ** ბავშვებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცეს და წარმატებული სპორტსმენები, მუსიკოსები და პედაგოგები დააჯილდოვეს.

1 ივნისს ბორჯომის ცენტრალურმა (ისტორიულმა) პარკმა ტურისტული სეზონი ოფიციალურად გახსნა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი ყველა პატარას ულოცავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და ბედნიერ მომავალს უსურვებს.

## სოციალური დახმარება ბენეფიციარებს

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამების ფარგლებში, მაისში 205 679 ლარის დაფინანსება გასცა.**

**აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 829 ბენეფიციარს გაუწია, 161 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 114 464 ლარი გამოიყო, მედიკამენტების შესაძენად 74 ბენეფიციარი 8 400 ლარით დაფინანსდა, ონკოლოგიური დაავადებების მქონე 28 პაციენტი 19 800 ლარით დაფინანსდა.**

**სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედმამით ობლებმა და სხვა ბენეფიციარებმა.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში 23-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა მხარდაჭერა.**

## შეხვედრა ახალგაზრდულ საბჭოს წევრებთან



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში, ბორჯომის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს კოორდინატორი **მარიამ ზაზაძე,** მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ახლადარჩეულ ახალგაზრდულ საბჭოს წევრებს შეხვდნენ.

სათათბირო ორგანოს მერის ინიციატივით შეიქმნა და მისი მიზანი მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა, მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისი პროექტების დაგეგმვა და მოსახლეობის ინფორმირებაა.

მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო 15 წევრისგან შედგება, რომლებიც კონკურსის შედეგად შეირჩა.

მერმა ახალგაზრდებს, ინფორმაცია მიაწოდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და შესრულებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ, ასევე, მოისმინა, ახალგაზრდების მიერ დასახელებული საჭიროებები.

მერიის ახალგაზრდული სათათბირო ორგანო სისტემატურად შეიკრიბება და ის ახალგაზრდების ჩართულობით მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან პროექტს განახორციელებს.

## განახლება-რეაბილიტაცია გრძელდება

**ბორჯომში,** რუსთაველის ქუჩაზე არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის განახლება-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.



პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდება შენობის გარე ინტერიერი. ასევე, შეიცვლება იატაკი, სახურავი, მოპირკეთდება ჭერი და მოეწყობა ალუმინის ვიტრაჟები.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მიზანია, საქართველოში ჩამოსული და ადგილობრივი ტურისტის სრულყოფილი ინფორმირება ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტის მიწოდების შესახებ, ასევე საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალისა და ახალი პროდუქტის პოპულარიზაცია.



**ბორჯომში,** კოსტავას ქუჩაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

პროექტის მიხედვით, 4900 კვადრატულ მეტრზე ასფალტის საფარი დაიგება, 260 კვადრატულ მეტრზე მოეწყობა გრანიტის ძელურები, ხოლო 344 გრძივ მეტრზე მოეწყობა გრანიტის ქვაფენილიანი ტროტუარი. პროექტის ფარგლებში ასევე, მოეწყო მიწისქვეშა სანიაღვრე არხი 329 გრძივ მეტრზე.

ამ დროისათვის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

კოსტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

სამუშაოებს შპს „ბილტმორი" ასრულებს.

### პარკინგი ფასიანი უნდა გახდეს

# დღემდე გადაუჭრელი პრობლემა

**დაგვეთანხმებით, ჩვეულებრივ ცოცხალ ადამიანს მუდმივად ესაჭიროება ზრდა-განვითარება და სრულყოფა, ასევე უნდა განვითარება ქალაქსა და სოფელს, რადგან, რაც უნდა სრულვყოთ მშობლიური კუთხე, მომავალ წელს ცხოვრება ახალი პრობლემების გადაწყვეტას გვავალდებულებს. ამის მკაფიო დასტურად გამოდგება საზოგადოება „ბორჯომელების“ შარშან საკურორტო სეზონის დაწყების წინ შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობასთან, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებმა ტურისტული სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობას სათანადო რეაგირებისათვის გადასცეს მთელი რიგი პრობლემური საკითხების ჩამონათვალი, როგორიცაა ქალაქში ავტოტრანსპორტის პარკირების, გარე ვაჭრობის, უხარისხო მშენებლობების, სანიტარიული წესრიგის გაუმჯობესების, უზედამხედველო ძაღლებისგან მოქალაქეთა დაცვის, სკვერების აღდგენა-განახლების, ქალაქის გამწვანების საქმეში არსებული პრობლემების, დასაქმების, კოსტავას სახელობის პარკის რეკონსტრუქციის დაჩქარების, ისტორიული პარკის სეზონისათვის სათანადო მომზადებისა და სხვა აქტუალური საკითხების გადაწყვეტა.**

საზოგადოების წევრებმა სხვა აქტუალურ საკითხებზეც გაამახვილეს ყურადღება. ქალაქის ხელმძღვანელობამ ყველა საკითხი ჩაინიშნა და შეგვპირდა, თანდათანობით ყველა პრობლების საფუძვლიანად შესწავლას და გადაწყვეტას. დღეს გვინდა ქალაქში (ისე როგორც ბაკურიანში) არსებულ უსაშველოდ მომრავლებულ ავტოტრანსპორტის პარკინგის სფეროში არსებულ ნაკლოვანებებზე გესაუბროთ. დავიწყოთ იმით, რომ რიკოთის ულელტეხილზე ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით ბორჯომის ხეობაში საგრძნობლად გააქტიურდა მძიმეწონიანი ტრაილერების მოძრაობა და ამ მანქანებმა სერიოზული პრობლემები შექმნა ჩვენს ხეობაში. დღეს ჩვენს ვიწრო საავტომობილო გზებზე საათში 70-100 მძიმეწონიან ტრაილერები მოძრაობენ, რომლებიც სერიოზულად აზიანებენ როგორც ავტოტრასას, ასევე გამონაბოლქვით წამლავენ გარემოს. თურქეთის ტრაილერებით გადატვირთულ საავტომობილო გზას დაემატა საკურორტო სეზონზე ავტოტურისტების მომრავლებაც. ამ ყველაფერს დაუმატეთ ადგილობრივი მცხოვრებლების საკუთარი ავტომანქანებიც და მკაფიოდ მიხვდებით, თუ როგორი „ჯოჯოხეთი“ იქნება როგორც ავტოტრასაზე, ისე ჩვენს ქალაქის ვიწრო ქუჩებში. ქუჩები სავსეა თვითნასწავლი მძღოლებით. ორი-სამი კილომეტრის გავლა ფეხით ალარავის უნდა, ყველა მეორე-მესამე ოჯახს აკუტარი მანქანა აქვს, რაც სიმდიდრედ არა აღიქმება (არადა, იყო დრო, როცა პატეფონი, საათი, რადიომიმღები, სარეცხი მანქანა, მაცივარი და ა.შ. მხოლოდ მდიდრებს ქონდათ). ცხოვრება წინ მიდის და ჩვენ თვალწინ ბევრი რამ სასიკეთოდ იცვლება, თუმცა ევროპული ცხოვრების დონისაგან ჯერჯერობით შორს ვართ. დღეს მოსახლეობის ერთ ნაწილს წუწუნი და ბუზღუნი კარგად აქვს დაცდილი, გაძვირებულ ბენზინზე, პროდუქტებზე, დაბალ შემოსავალზე და გაჭირვებაზე ამახვილებენ ყურადღებას და ეს გასაკვირი სულაც არაა, რადგან უმრავლესობის ფინანსურ შემოსავალსა და საბაზრო ფასებს შორის დიდი განსხვავებაა. განსაკუთრებით საგულისხმოა მსუბუქი ავტომფლობელთა დამოკიდებულება პარკინგისადმი, გასაკვირია მაშინ, როცა ერთი ლიტრი საწვავი სამ ლარს აცდა, რა აუცილებელია ორ-სამ, თუნდაც ხუთკილომეტრიანი გზის გასავლელად საკუთარი მანქანით სარგებლობა, როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბორჯომში და მის დაბა-სოფლებში საგრძნობლად გაიაფებულია და არც თუ ურიგოდ ემსახურებიან ადგილობრივ მოსახლეობას. (საქართველოში საზოგადოებრივი საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილება ბორჯომში ყველაზე იაფია). ფაქტია, დღეს ბორჯომისა და ბაკურიანის ისედაც ვიწრო საავტომობილო გზები გადატვირთულია ტრანსპორტით, მოუგვარებელია პარკინგების საკითხი. ამას ემატება ავტოპარკის ყოველწლიური ზრდა (ამდენი კერძო ტრანსპორტი ბორჯომში არასოდეს ყოფი-



ლა). და ქალაქის ქუჩები ვეღარ ატარებს მომრავლებულ ტრანსპორტს, მოძველებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, პარგინგის არარსებობა შეუძლებელს ხდის ტრანსპორტის გამმართულ მუშაობას.

ქალაქის ცენტრში არსებულ შინმოუსვლელთა მემორიალიდან მერიის შენობამდე გვიანობამდე, ფაქტიურად, მთელი დღის განმავლობაში უსაქმურადაა ჩამწკრივებული მსუბუქი მანქანები, ხშირად კერძო მანქანები კვირაობით და თვეობითაც ქუჩაში აყენია, ისედაც ვიწრო ქუჩებში ხშირად იქმნება საავარიო სიტუაცია და შემხვედრ ტრანსპორტს უჭირს გვერდის ავლა. ასეთივე სიტუაციაა ისტორიული პარკის შესასვლელთან, 9 აპრილის ქუჩაზე, კოსტავას და რუსთაველის მოედნებს კვადროციკლების მეპატრონეები დაეპატრონნენ. გარემოვაჭრეების გამო საზოგადოებრივ ავტობუსებს და ტაქსებს სერიოზულად უჭირთ მოძრაობა. თვალნათლივ იგრძნობა საგზაო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. ხშირად მსუბუქი მანქანები ტროტუარებზე დგას და ფეხის მოსიარულეებს ტრანსპორტის სავალ ნაწილზე უწევთ გადასვლა. როგორც ჩანს, საწვავის გაძვირებამ გავლენა არ მოახდინა ტრანსპორტის შემცირებაზე. კერძო ტრანსპორტის მომატებით და შექმნილი სიტუაციით ქალაქის ხელისუფლება ნამდვილად შეწუხებულია და სერიოზულად ფიქრობს პრობლემების გადაწყვეტისათვის, ეს ასეც უნდა იყოს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბორჯომში არანაირი პარკინგი არ არსებობს, ვისაც სად უნდა, მანქანას იქ აყენებს. ბუნებრივიდ იბადება კითხვა, თუ თბილისში არსებობს ტრანსპორტზე პარკინგისათვის გადასახადი, რატომ არ შეიძლება ბორჯომშიც დაწესდეს საათობრივი გადასახადი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ქალაქის ქუჩებში ტრანსპორტის ჩახერგილობას.

სამწუხაროდ, არავინ ამოწმებს არც მსუბუქი ავტოტრანსპორტის და არც კვადროციკლების მძღოლთა არც სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობას და არც მძღოლთა კვალიფიკაციას, არადა ისინი როგორც წესი დაბაძველის არც თუ კეთილმოუწყობელ გზაზე ვარძიაში ახალციხეში და სხვაგანაც დაყავთ უცხოელი ტურისტ-დამსვენებლები.

**საოცარი ისიცაა, რომ მსუბუქი მანქანების, ტაქსების და კვადროციკლების მეპატრონეები ერთდროულად მძღოლებიც არიან და გიდებიც. სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ რამდენი ტაქსი და კვადროციკლი ემსახურება ბორჯომს, რამდენად კვალიფიციური გიდები არიან, როგორ იციან ბორჯომის ხეობის და თუნდაც დაბაძველის ისტორია, მათ ხომ არა მარტო ბორჯომის, სრულიად საქართველოს სახელის დაცვა და პოპულარიზაცია ევალებათ. ბორჯომელებს კარგად ახსოვთ. ამ ორი წლის წინათ ისტორიული პარკის წინ კვადროციკლების მძღოლებმა კლიენტები ვერ გაიყვეს და კონფლიქტში ბორჯომელი მოხუცი მძღოლი შეიწირეს.**

**ამას წინათ ისტორიული პარკის შესასვლელთან მძღოლი უცხოელ ქალბატონს აედევნა და დაბაძველში გასეირნება შესთავაზა, (მისი მეუღლე წინ მიდიოდა), უარის თქმის გამო მძღოლმა არაეთიკური ქცევით ქალი დაამცირა, კიდევ კარგი კონფლიქტი დროულად აღკვეთეს, თორემ შესაძლებელი იყო შედეგი ტრაგიკულად დამთავრებულიყო.**

პარკინგის შექმნის საკითხი ორი წლის წინათაც გავაჟღერე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას დებულებაც წარვუდგინე, სადაც მითითებული იყო სად, რომელ ლოკაციაზე შეიძლებოდა პარკინგის მოწყობა. დაახლოებით 10 ადამიანი დასაქმდებოდა და ორგანიზებული სახე მიეცემოდა იმ ქაოსს და განუკითხაობას, რაც დღეს თვალნათლივ ჩანს ჩვენს ტურისტულ ქალაქში, (ბორჯომი რომ ოფიციალურად ბალნეოკურორტი აღარ არის, ეს ისედაც იციან ბორჯომელებმა).

სამწუხაროდ პარკინგის შექმნით არავინ დაინტერესებულა, არადა, მიმაჩნია, ღირს ამ საკითხით დაინტერესება.

**ვალერიან ლომიძე.**

### მზადება საკურორტო სეზონისათვის

# სტუმრებს ღირსეულად დავხვდებით



**ბორჯომის (ცენტრალური) ისტორიულ პარკში ზაფხულის სეზონი წელსაც ტრადიციულად 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს გაიხსნა. პარკში სხვადასხვა სახის სამუშაოების ჩატარება სეზონის ოფიციალურ გახსნამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწყო და დღესაც პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. რამდენად მომზადებული შეხვდა ისტორიული პარკი ადგილობრივ და ჩამოსულ სტუმრებს ამასთან დაკავშირებით ბორჯომის ცენტრალური ისტორიული პარკის დირექტორი ლერი გელაშვილი გვესაუბრება:**

● **ბატონო ლერი, რამდენად მომზადებული შეხვდა ისტორიული პარკი დამსვენებლებს? რა სახის ღონისძიებები განხორციელდა 2023 წლის სეზონისათვის?**

- ბორჯომის ცენტრალური ისტორიულ პარკში 2023 წლის საკურორტო სეზონისათვის განვახორციელეთ როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე ტექნიკური სამუშაოები. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, მაინც შევძელით სამღებრო სამუშაოების ჩატარება. ბოლომდე ალვადგინეთ განათების სისტემა, რომელიც პარკის მთელ ტერიტორიაზე გახლდათ დაზიანებული. აქ იგულისხმება ფერადი მაშუქები, რომელიც ფეხით სავალ ნაწილზეა განლაგებული. დღესაც მიმდინარეობს პარკის ტერიტორიაზე არსებული ხუთივე ხიდის რებილიტაცია, რომელიც საკმაოდ დაზიანებული გახლდათ. პირველი ხიდი უკვე დასრულებულია, ხოლო დანარჩენებზე ისევ მიმდინარეობს სამუშაოები. მწყობრში მოვიყვანეთ შვიდივე ატრაქციონი, დავრგეთ ყვავილები, წითელი კოწახურის ბუჩქები მინერალური წყლის ბიუვეტთან მისასვლელი ბილიკის ორივე მხარეს დაირგო. ეს ის ძირითადი სამუშაოებია, რაც განხორციელდა, თუმცა ამ ეტაპზეც აქ სხვადასხვა მიმართულებით ისევ მიმდინარეობს სამუშაოები.

● **1 ივნისი ტრადიციულად ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული აქტივობებით აღინიშნება. რა სახის ღონისძიებებით დახვდა ისტორიული პარკი როგორც ადგილობრივ, ასევე სტუმრად ჩამოსულ პატარებს?**

- დიახ, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს იხსნება პარკი ოფიციალურად და ამ დღესთან დაკავშირებით მთელი რიგი შეთავაზებები გვქონდა ადგილობრივი და ჩამოსული პატარებისთვის, უფასოდ იყო ხელმისაწვდომი ატრაქციონები, დღის განმავლობაში კი ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტი, სპორტული აქტივობები და ა.შ.

● **გასულ წელს პარკის ტერიტორიაზე არსებული კვების ობიექტების რაოდენობა რამდენიმე ერთეულით შემცირდა. ამ ეტაპზე რომელი სახის ობიექტები დარჩა?**

- ვცდილობთ მინიმუმადე დავიყვანოთ კვების ობიექტებისა და საერთოდ ყველანაირი სახის ობიექტების რაოდენობა. გასულ წელს საგრძნობლად შევამცირეთ მათი რაოდენობა და წელსაც ვიმუშავეთ ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე პარკის ტერიტორიაზე კვების სამი და რამდენიმე გასართობი ობიექტია განთავსებული.

● **პარკში შესვლის ტარიფი განსხვავებულია და ამასთან დაკავშირებით ბევრჯერ გვისაუბრია, თუმცა მოსახლეობას ისევ დეტალურად რომ მივაწოდოთ ინფორმაცია აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით?**

- ტარიფი არ შეცვლილა და ისევ იგივე რჩება, რაც გასულ წელს იყო. უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე განისაზღვრება 5 ლარით, საქართველოს მოქალაქეებზე - 2 ლარით. 16 წლამდე მოზარდებზე 1 ლარია, ბორჯომში რეგისტრირებული მოქალაქეები, 8 წლამდე ბავშვები, პენსიონერები, შშმ პირები, ომის ვეტერანები და ინვალიდები უფასო ტარიფით სარგებლობენ.

● **პარკის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების პრობლემა დღესაც აქტუალურია. ამ პრობლემის გადაჭრისათვის თქვენი ადმინისტრაციის მხრიდან თუ იგეგმება რაიმე?**

- უპატრონო ცხოველების პრობლემა დღესაცაა. პარკის ტერიტორიაზე უამრავი უპატრონო ძაღლია, რომლებიც დისკომფორტს უქმნიან დამსვენებლებს. ყველანაირად ვცდილობთ, რომ საკუთარი ძალებით ვებრძოლოთ აღნიშნულ პრობლემას და ამაში ქალაქის დასუფთავების სამსახური აქტიურად გვეხმარება. მათ ეტაპობრივად მიჰყავთ ცხოველები თავშესაფარში, რისთვისაც მათ უდიდეს მადლობას ვუხდით.

● **მიუხედავად იმისა, რომ სეზონი ოფიცილურად 1 ივნისს გაიხსნა და სტუმრების მისაღებად პარკი მზადაა, თუ იგეგმება დამატებით კიდევ სხვა სახის სამუშაოების ჩატარება?**

- ზოგადად მზად ვართ საკურორტო სეზონისათვის, თუმცა ეტაპობრივად პარკის ტერიტორიაზე მთელი სეზონის განმავლობაში მიმდინარეობს გარკვეული სახის სამუშაოები. მთელი ჩვენი გუნდი არ დავიშურებთ ძალას და ენერგიას, რათა საკურორტო სეზონი ისე დავასრულოთ, რომ არ გვყავდეს უკმაყოფილო როგორც ადგილობრივი ასევე ჩამოსული ვიზიტორი. ამ ყოველივეს განხორციელებაში კი გვერდში გვიდგას ქალაქის ხელმძღვანელობა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ.

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**




**ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ავტოპარკი 23 სპეცმანქანით განახლდა.**

**მაღალი გამავლობის, ევროსტანდარტების შესაბამისი, ავტომობილები, თანამედროვე სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი და რთულ რელიეფზე გადასაადგილებლად არის განკუთვნილი.**

**სასწრაფო დახმარების 23 ახალი ავტომობილი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებში გადანაწილდება, მათ შორის ბორჯომის მუნიციპალიტეტშიც.**

# დამთავრდა რეაბილიტაცია

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის დაფინანსებით დაბა ახალდაბაში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა შენობის ფასადი, შენობის პირველ სართულზე შეიცვალა კარ-ფანჯარა ასევე, განხორციელდა შიდა კიბის რეაბილიტაცია.

საბავშვო ბაღის შენობაზე მზის ენერგიის პანელები განთავსდა, რომლის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიითაც ისარგებლებს საბავშვო ბაღი. რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო სახსრების დაზოგვას და შეამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება, რაც სასწავლო-საალმზრდელო გარემოს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

# ახალგაზრდების არჩეული პროფესიები

**ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალია. მშობლები, ნათესავები, პედაგოგები, საზოგადოება და სახელმწიფო დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდობაზე. როგორი განათლებული, მაღალპროფესიული სპეციალისტებიც გვეყოლება მომავალში, ისეთი სახელმწიფოც გვექნება. ამიტომაცაა, რომ შევხარით წარმატებულ სკოლადამთავრებულებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს. დღეს წარმოგიდგენთ ბორჯომის სკოლადამთავრებულ აბიტურიენტებს, რომლებიც აქედანვე ფიქრობენ და ოცნებობენ უკვე არჩეული პროფესიის საფუძვლიანად დაუფლებაზე.**



**დეა დევიძე, №1 საჯარო სკოლა, აბიტურიენტი:** - როდესაც ვფიქრობთ როგორ შევძლოთ და შევცვალოთ სამყარო უკეთესობისკენ, პირველ რიგში გვახსენდება რევოლუციური ცვლილებები, რომელთა მიღწევაც ერთეულებმა შეძლეს. მრავალი პროფესიიდან არქიტექტურა ერთ-ერთია, რომლის საშუალებითაც ადამიანებს შეუძლიათ გარემო უფრო უკეთესი გახადონ და ის სივრცე, სადაც ვცხოვრობთ, ისე მოაწყონ, რომ არც ადამიანი დაზარალდეს და არც ბუნება. არქიტექტურა ხელოვნების დიდი ნაწილად მიმაჩნია, რომელიც საშუალებას გვაძლევს საკუთარი ხელით შექმნილი ცხადად დავინახოთ. დავაფასოთ საკუთარი შრომა და დავტოვოთ „უკვდავი“ კვალი ნაგებობის/შენობის სახით. საქართველოს მოცემული რეალობიდან გამომდინარე, არჩევანი საბოლოოდ სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტისკენ შევაჩერე. ძველი, საფუძვლიანი და სანდო განათლებისკენ! არქიტექტურაში ზაჰა ჰადიდი ჩემთვის ეტალონია, თავისი გამორჩეული, განსხვავებული და სრულყოფილი ნაგებობებით, მისაბაძია. ბორჯომს, როგორც ცნობილ საკურორტო ზონას ესაჭიროება სწრაფი კვების ქსელური კომპანიები. როგორიცაა: cDonald's,(makdonaldsi) Wendy's, (vendisi),Dunkin Donats (dankin donatsi) da KFC (qei-ef-si). ობიექტები კი ყველასაგან გამორჩეული, არაორდინალური და განსხვავებული არქიტექტურული შტრიხებით უნდა იყოს წარმოდგენილი. ადგილს რაც შეეხება, ჩემი აზრით, ქალაქის ცენტრის „საზღვარი“ უნდა გაფართოვდეს და ის ადგილები, რაც გამოუყენებელია, ან უსარგებლო შენობებითაა გარშემორტყმული, გამოყენებად და ხალხისთვის საჭირო შენობებად უნდა იქცეს.

**სანდრო სარჯველაძე, №1 საჯარო სკოლა, აბიტურიენტი:** - ყველა ჩემი ახლობელი დამემოწმება, რომ



მეოთხე კლასიდან ბიზნეს მენეჯმენტი მაქვს არჩეული და ყველანაირად ვცდილობ, ეს ფაკულტეტი მაღალ ქულებზე დავხურო, რათა ჩემს საქმეში წარმატებული ვიყო. ბიზნესით დაინტერესება, სიმართლე გითხრათ, ალბათ, ბიძაჩემმა გააღვიძა ჩემში, რადგან ნულიდან დაიწყო ყველაფერი, ახლა კი თავის საქმეში წარმატებულია. ბიძაჩემი ჩემთვის მაგალითი საქმისადმი მონდომების. ისეთი შთაბეჭდილება დამიტოვა, რომ მას მერე აზრი არ შემიცვლია პროფესიაზე. ამას დაემატა ის, რომ ჩემი თვალით ვნახე, რა და როგორ ხდება ბიზნესის საქმიანობაში. უკვე მაქვს გამოცდილება რესტორანში და ბარში მუშაობის. ეს უკვე გარკვეული ბიძგიც გახდა, იქიდანაც გამიჩნდა სურვილი, რაღაცები მეც მეკეთებინა ჩემი შესაძლებლობით. როგორ გავუძღვებოდი რესტორნის ბიზნესს - ესეც საინტერესო სფეროდ მიმაჩნია. ვფიქრობ, ჩემ მომავალ საქმიანობაზე და მანამდე მისაღწევი გზა როგორი იქნება - ყველაზე მეტად ეგ მაინტერესებს. ბორჯომში მობრუნების პერსპექტივა არის, კი. ახლა ვისურვებდი სადგერისკენ, ცემისკენ ჩემი კოტეჯები მქონოდა. ტურისტისთვის აუცილებელი მოთხოვნაა იყოს გამართული ინტერნეტი, ყველასგან განსხვავებული გარემო და სიმყუდროვე ამ ტიპის კოტეჯებში. სტუდენტობის პარალელურად, ვფიქრობ დავიწყო მცირე საქმიანობაც - კარგი პიცერია არ არის ბორჯომში და თუნდაც ასეთი სტარტი მნიშვნელოვანია. ძალიან მინდა მოვხვდე თავისუფალ უნივერსიტეტში, ან აგრარულში. იმედია, გავამართლებ გულშემატკივრების იმედებს.

**ლიკა კამკამიძე, №1 საჯარო სკოლა, აბიტურიენტი:** - ადრეული ასაკიდანვე ვიცოდი, რომ სტომატოლოგი უნდა გავმხდარიყავი. ჩემი მომავალი პროფესია ადამიანთა სილამაზესა და ჯანმრთელობას უკავშირდება. მინდა გავხდე წარმატებული სტომატოლოგი, ვიზრუნო პაციენტებზე, უსაფრთხო მკურნალობასა და ლამაზ ღიმილზე. ჩემ მიერ არჩეულ გზაში ხომ მიმზ-



იდველი სწორედ ისაა, რომ უმტკივნეულო მკურნალობის შემდეგ, დავინახო ღიმილიანი და ჯანმრთელი პაციენტი. ჩემთვის ორმაგად სასიხარულო იქნება, თუ მომეცემა შესაძლებლობა, რომ დავუბრუნდე ჩემს ქალაქს და პროფესიული მოღვაწეობა აქ გავაგრძელო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საფუძვლიან ცოდნას მომცემს ამ კუთხით და დარწმუნებული ვარ მივუახლოვდები დასახულ მიზნებს.

**თემო კიკნაძე, წაღვერის საჯარო სკოლა, აბიტურიენტი:** არის ასეთი საჭირო მიმართულება - კიბერუსაფრთხოება, რაზეც ვაპირებ ჩავ-



აბარო. კერძოდ, საქართველოს უნივერსიტეტში. ოცდამეერთე საუკუნისთვის შესაბამისი, მოთხოვნადი პროფესიაა, ერთ-ერთი მაღალანზღაურებადი. საკმაოდ საინტერესო სფეროა. ფაქტობრივად, რაც კი სოციალური დაცვები არსებობს, ყველას ეცნობი. გევალება სხვადასხვა კომპანიების ინფორმაციათა დაცვა, უსაფრთხოება. მაგალითად პოლიციის, ან სხვა ორგანიზაციის. სწავლის დასრულების შემდეგ, ახალდამთავრებულს, საშუალოდ 300 ლარიდან ეწყება ხელფასი. ვიცნობ არაერთ ახალგაზრდას, ვისაც გამოადგა ეს მიმართულება. უნივერსიტეტი გვეხმარება გავიღრმავოთ ცოდნა ამ კუთხით საზღვარგარეთ. რომ გითხრათ, ვინმე მისაბაძი და ეტალონი მყავს ამ საქმეში-მეთქი, მოგატყუებთ. ყოველდღიურად იცვლება და ერთმანეთს უსწრებენ განვითარებაში, ამიტომ ასე კონკრეტულად ვერ გამოარჩევ საუკეთესოს. საუკეთესოს ვინაობის დადგენა რთულია ისევ თავიანთი უსაფრთხოების გამო. მოდუნების საშუალებას არ გაძლევს საქმე, თან კომფორტულია ჩემთვის. ვეცდები, ყველანაირად მივიღო მეტი განათლება, მქონდეს ჩემი შემოსავალი და გამოვადგე სხვებს ჩემი პროფესიით. დღეს ხომ ყველაფერი გაციფრულებულია და ამ ინფორმაციასაც სჭირდება დაცვა ისევე, როგორც ყველა ინსტიტუციას!

**მარი შუბითიძე, №1 საჯარო სკოლა, აბიტურიენტი:** ამ ეტაპზე მსურს ჩავაბარო ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ან აგრარულ უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე. ვფიქრობ, მომდევნო წელს უცხოეთში გავაგრძელებ სწავლას. ჩემ მიერ შერჩეულ ფაკულტეტზე დღეს იშვიათად აბარებენ, რის გამოც ქვეყანაში ქიმიკოსების დეფიციტია. მე პირადად, მაინტერესებს და მიზიდავს ეს უამრავი კითხვებით სავსე სფერო, რომელშიც ყველაზე ახლოს ვარ საკუთარ თავთან. სწავლის დასრულების შემდეგ ვთვლი, რომ ვიმუშავებ ლაბორატორიაში და ჩავატარებ უამრავ ცდას. ჩემ მიერ არჩეული პროფესია მეტად პერსპექტიული, იშვიათი და უნიკალურია, რადგან მის გარეშე არაფერი ხდება და არაფერი ვითარდება. თავიდანვე მომწონდა და მიზიდავდა ზოგადად ის



აზრი, რომ ლაბორატორიაში შემეძლო მუშაობა. დროთა განმავლობაში ბევრჯერ შევიცვალე აზრი. მინდოდა მსახიობობაც, მაგრამ ბოლოს მაინც მეცნიერებამდე მივდიოდი; თითქოს, თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს პროფესია ჩემი იყო. ბიძგის მომცემი, სხვათა შორის, დედაც იყო - ყოველთვის სჯეროდა ჩემი და მეუბნებოდა, რომ ჩემ ოცნებებს გავყოლოდი. სწავლის დასრულების შემდეგ ალბათ, არც საკუთარ ქალაქში და არც საკუთარ ქვეყანაში არ გავაგრძელებ მუშაობას. ძირითადი სამსახური ქვეყნის გარეთ მექნება, მაგრამ მინდა ჩემ ქალაქში ბიზნესის სახით რაიმე ჩემს პროფესიასთან დაკავშირებული წამოვიწყო. ეს როგორც მე, ისე მოსახლეობისთვის იქნება სიკეთის მომტანი.



**ლევან მიქაბერიძე, ბაკურიანის სკოლა, აბიტურიენტი:** ვაბარებ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. სცენისადმი სიყვარული ბავშვობიდან მაქვს, რაც შეეხება თეატრისადმი ინტერესს 5-6 წლის ვიქნებოდი, როდესაც ბაკურიანში, კონცერტზე, პატარა ფრაგმენტი ვნახე ნოდარ დუმბაძის პიესიდან „მე ვხედავ მზეს“. სწორედ, ამ მომენტიდან გამიჩნდა სურვილი და მიზანი, რომ ადრე თუ გვიან თავი მეცადა ამ პროფესიაშიც და ასეც მოვიქეცი. მივაშურე წაღვერის საქალაქო კულტურის სახლთან არსებულ თეატრ-სტუდია ვოდევილს, სადაც ჩემი პირველი მთავარი როლი შევასრულე ნოდარ დუმბაძის პიესაში „ბოშები“. მინდა რეჟისორებს: გიო და ბაქარ ლომიძეებს დიდი მადლობა ვუთხრა. მსახიობს უნდა შეეძლოს ცეკვა, რადგან ამით მისი პლასტიკა და მოქნილობა იხვეწება, რაც სცენას ნამდვილად ესაჭიროება. ასევეა სიმღერაც - ხმის ტემბრი დიდ როლს თამაშობს მსახიობის კარიერულ წინსვლაში. მას უნდა ჰქონდეს რითმის შეგრძნება, მუსიკალური სმენა, შეეძლოს ხმამაღლა და გარკვევით საუბარი. მართალია, დღესდღეობით საქართველოში დაუფასებელი პროფესიაა და გააზრებული მაქვს ეს ყოველივე, მაგრამ სცენაზე თავს კომფორტულად ვგრძნობ. სცენაზე ასვლისთანავე სხვა ადამიანი ვხდები. ბორჯომში ახალგაზრდებისთვის კარგი იქნებოდა, ახალგაზრდული დაწესებულებები ეროვნული ელემენტებით, ყურადღებას გავამახვილებდი ფოლკლორულ ანსამბლებზე, ახალგაზრდულ თეატრებზე და სისტემატურად მოვაწყობდი თეატრალურ ფესტივალს, რადგან ახალგაზრდებს ინტერესი გაუჩნდეს თეატრისადმი.

ჩაიწერა **მონიკა ქანთარია**

5 ივნისი გარემოს დაცვის დღეა!

# დასუფთავების ფესტივალი – ბაკურიანში

გარემოს დაცვის ორგანიზაცია სადაგი (საქართველოს დამლაგებელთა გილდია) საზოგადოებრივი მოძრაობაა, რომელიც მიზნად ისახავს თითოეული მოქალაქის გაერთიანებას ერთი იდეის გარშემო, რომ საქართველოს ბუნება ყველა ჩვენგანის საერთო სიმდიდრე და ერთობლივი საზრუნავია. ტექნოლოგიური პროგრესით, ადამიანების გაერთიანებითა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით საქართველოს გარემოსდაცვითი საკითხები უფრო და უფრო აქტუალური ხდება, მკვეთრად იწყება და მომავალშიც იმედია უფრო მეტად გაიზრდება საზოგადოებრივი თვითშეგნება და შედეგად მივიღებთ სუფთა, ძლიერ და სილამაზით გამორჩეულ ქვეყანას. ორგანიზაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოხალისეთა ჩართულობითა და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი მთავრობის ხელშეწყობით აწყობს დასუფთავების მასშტაბურ ღონისძიებებს.



3-5 ივნისს ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით ეს ღონისძიება დაბა ბაკურიანში გაიმართა. საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მოხალისეებს და უცხოელ ენთუზიასტებს კურორტზე ადგილობრივები შეუერთდნენ - ყველა ასაკის მოხალისეები, სპორტსკოლების ბავშვები მწვრთნელებთან ერთად, განვითარების სააგენტოს თანამშრომლები და სხვები. ჯგუფები წინასწარ დაყოფილ ლოკაციებზე გადანაწილდნენ (კოხტას მიმდებარე ტერიტორია, ცენტრალური უბნები, დიდველის არეალი, შემოვლითი გზა და სხვა). დარიგდა სამუშაოდ საჭირო ნაგვის პარკები, სამუშაო ხელთათმანები, საწვიმრები, წყალი, ლანჩბოქსები და სხვ. ყოველი სამუშაო დღის დასასრულს მონაწილეებს უფასო სადილი ელოდათ დიდველი გალერეაში. მოხალისეების ტრანსპორტირება ლოკაციებზე უზრუნველყო განვითარების სააგენტომ ავტობუსებით. სააგენტოს დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა, მოსახლეობის ჩართულობით გზისპირები გაასუფთავეს ბალახისა და ნარჩენებისაგან. დასუფთავების აქციის პირველი დღის დასასრულს გაიმართა შეხვედრა დოქტორ გივი კუპატაძესთან, მწერალ დათო ტურაშვილთან და ბანკირ ნიკა შურღაიასთან. საღამო კონცერტით დასრულდა.

სამდღიანი დასუფთავების აქციამ საფუძველი დაუდო ყოველწლიურ ფესტივალს ბაკურიანში და საქართველოს სხვა კურორტებზე.

აქციის მთავარი მიზანი ბაკურიანის ულამაზესი ბუნების ნაგვის ნარჩენებისგან დასუფთავების გარდა იყო კურორტის ბუნებრივი სილამაზის დაბრუნება ნარჩენების გარეშე, მოსახლეობის წახალისება, პასუხისმგებლობის გაზრდა გარემოს მიმართ და ბავშვების ჩართულობა ამ საქმეში.



ფესტივალის დასკვნით დღეს, 5 ივნისს, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს, აქციაში ჩაერთნენ ბაკურიანისა და ანდეზიტის სკოლების მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად. ბავშვებმა საგანმანათლებლო ლექცია მოისმინეს ბუნების დაცვის და პლასტმასის ნარჩენების შესახებ, მათ ასევე გაეცნო და ესაუბრა მწერალი დათო ტურაშვილი. ლექციის შემდეგ ბავშვებმა წრიულის შიდა ტერიტორია დაასუფთავეს. ახალგაზრდა თაობის ჩართულობა მსგავს ღონისძიებებში და მათი ცნობიერების ამაღლება ბუნების დაცვის საკითხში განსაკუთრებით მისასალმებელი და მნიშვნელოვანია.

**რუსუდან სხირტლაძე**

## ძაღლების ღია სივრცეში სეირნობის წესების დარღვევის გამო ჯარიმები გამკაცრდა



**პარლამენტმა** „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებას პირველი მოსმენით, 80 ხმით მხარი დაუჭირა. ცვლილება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრებას ითვალისწინებს იმ მეპატრონეებისთვის, რომლებიც ძაღლის ღია სივრცეებში, მათ შორის, ბულვარში, პარკსა და სკვერში გასეირნების წესებს დაარღვევენ.

ძაღლის საბელის ან ალიკაპის გარეშე ყოლა ღია სივრცეებში, მათ შორის ბულვარში, პარკში ან სკვერში გამოიწვევს მფლობელის დაჯარიმებას 150 ლარით, ნაცვლად 20 ლარისა. განმეორებით წლის განმავლობაში ჩადენილი იგივე ქმედება გამოიწვევს მფლობელის დაჯარიმებას 300 ლარით, ნაცვლად 50 ლარისა.

კანონპროექტი ასევე, შეეხება თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნას, გარდა პირუტყვის მესაკუთრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა. აღნიშნული ქმედება გამოიწვევს პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, ხოლო ბულვარში, პარკში, სკვერში პლაჟზე ან წვრილფეხა ან/და მსხვილ- ფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა პირუტყვის მესაკუთრის დაჯარი.ებას 100 ლარის ოდენობით.

## კატასტროფების მართვა ბორჯომის მუნიციპალიტეტში



**ორი დღის** მანძილზე სასტუმრო „ბორჯომი პალასში" მეტად საინტერესო ტრენინგი ჩატარდა, რომელიც კატასტროფების მართვის საკითხებს ეხებოდა. ტრენინგი იტალიის წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ადგილობრივ წითელი ჯვრის მოხალისეებისთვის. ტყის ხანძრებისათვის მზადყოფნა, მასზე რეაგირება, შეფასება და დაგეგმვა გახლდათ შეხვედრის ძირითადი საკითხები, რაზეც ორი დღის მანძილზე ისაუბრეს სტუმრებმა.

მოგეხსენებათ, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი და კერძოდ, ჩვენი მუნიციპალიტეტი ყველაზე მეტად საშიშ ზონას წარმოადგენს ტყის ხანძრების გაჩენის მხრივ და განსაკუთრებულ რისკს ზაფხულის ცხელი დღეები წარმოადგენს. მომხსენებლებმა აქცენტი სწორედ აღნიშნული პრობლემებზე გააკეთეს. მათ ადგილობრივი მოხალისეებისაგან მიიღეს ინფორმაცია ტყის ხანძრებთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის მოსახლეობა მზად ადგილობრივ დონეზე ყველა საჭირო სამსახურთან ერთად აქტიურად ითანამშრომლოს ტყის ხანძრების დროს, ასევე მოხალისეებმა ისაუბრეს 2017 წლის მასშტაბურ და გასულ წელს მომხდარ არანაკლებ მასშტაბურ ხანძრებზე და ჩამოსულ სტუმრებს აღნიშნულ სიტუაციაზე და ამ კუთხით საკუთარ ჩართულობაზე მიაწოდეს ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ ტრენერებმა ადგილობრივ მოხალისეებს გააცნეს ახალი „კომბო"-სისტემა, რომელიც კატასტროფების პრევენციისთვის შეიქმნა და მოხალისეებს აღნიშნული სისტემის პრაქტიკაში გამოყენებაშიც დაეხმარნენ.

ტრენინგის პირველი დღე მთლიანად თეორიულ საკითხებს ეხებოდა, ხოლო მეორე დღეს პრაქტიკაში გამოსცადეს არსებული სისტემა და მოხალისეებმა საველე პირობებში ინსტრუქტორების დახმარებით შეადგინეს ხანძარსაშიში ზონების მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული სისტემის დანერგვა თელავსა და ბორჯომშია დაგეგმილი. სწორედ ამ მიზნით, ტრენინგი ბორჯომის გარდა ჩატარდა თელავშიც. ბორჯომში, ადგილობრივი მოხალისეების გარდა შეხვედრას მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

**ნატო მელიქიძე**

## მევიოლინეების წარმატებული გამოსვლა



**ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლაში პედაგოგ თეა მანჩხაშვილის სავიოლინო ჯგუფის მოსწავლეთა კონცერტი გაიმართა.**

კონცერტზე შესრულდა შანიძის, აზარაშვილის, ფალიაშვილის, კახიძის, მოცარტის, ბახის, ბეთხოვენის, ნაწარმოებები. კონცერტები ვივალდი, ზეიცი, კომაროვსკი, რიდინგი.

მევიოლინეებს აკომპანიმენტს პედაგოგები - **ირინა ჯანიბახჩევა** და **ეკა სალარიძე** უწევდნენ. თითოეული ნომრის შემდეგ მაყურებელი არ იშურებდა აპლოდისმენტებს პატარა შემსრულებლების მიმართ.

კონცერტის კულმინაცია კი გახლდათ პედაგოგისა და მისი მოსწავლეების ერთობლივად შესრულებული ნომერი, რომელიც მან თავის სამ მოსწავლესთან ერთად შეასრულა. მოსწავლეებმა - ლიზა ქობალიამ, მარიამ ციცქიშვილმა და ნინო დვალაშვილმა ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური კონკურს ფესტივალში **„იპოვე შენი ვარსკვლავი"** მეორე ადგილი დაიკავეს. სწორედ აღნიშნულ მოსწავლეებთან ერთად შესრულდა შესანიშნავი ნომერი.

კონცერტის დასასრულს მუსიკალური სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **მარინა ქიტიაშვილმა** სიხარულითა და სიამაყით აღნიშნა, რომ ქალბატონ თეას მევიოლინეებმა სიცოცხლე და ხალისი შემატეს როგორც მუსიკალურ სკოლას, ასევე სრულიად ბორჯომს და კიდევ ერთი წარმატებული გამოსვლა მოულოცა.

**ნატო მელიქიძე**

### სატირა

## ბიჭმა ცოლი მოიყვანა



ბიჭმა ცოლი მოიყვანა
ლამაზი და ცქრიალა,
სახელიც შესაფერი აქვს -
გულიკო თუ ციალა?
თაფლობისთვე დაუმთავრდათ,
რა თქმა უნდა, კარგადა,
ქალბატონმა ქმარს შესჩივლა
ვერ ვიცხოვრებ ამგრადა.
ნებივრობას მიჩვეული
ვერ ვიცხოვრებ მწარედა,
გადავწყვიტე, რომ წავიდე
სადმე საზღვარგარეთა.
სახლს მოგირთავ და მოგიწყობ
ევროპული წესითა,
გიყიდი და განავარდებ
კოხტა „მერსედესითა".
რით მჯობია მეზობლები
ვალია თუ ტანია,
სილამაზე მაკლია თუ
არ მივარგა „ტალია"?!
ქმარს ჩააცვა თავის კაბა,
თვითონ შარვალ-ხალათი,
უთხრა, სანამ დავბრუნდები -
იქნები პატარძალი.
მიმიხედე ოჯახს, სახლ-კარს,
გაუფრთხილდი თავსაცა,
ფრთხილად იყავ, მზემ არ დაგწვას,
მოერიდე ქარსაცა.
სულ მალე გამოგიგზავნი
დოლარებს და ლარებსაც,
ერთიანად გადავიხდით
მეზობლების ვალებსაც.
თუმც არ ვიცი, რა მომელის,
ქალს წასულსა ფულისთვის,
მე ყველაფერს გავაკეთებ,
მაინც შენი გულისთვის.
ქმარმა გზები დაულოცა,
გადაკოცნა გულითა,
დაახარა, რაც გინდოდეს ის აქვთ,
ოღონდ მოდი ფულითა.

**გურამ ქუცელი (ივანიკე),**
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

## მოისხი ცოდნის მანტია



შემეცნებითმა ცენტრმა მანტიამ 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე საზოგადოებას მრავალფეროვანი კოგნიტური აქტივობები შესთავაზა.

„მანტია"-ს თავისუფალი დროით ისარგებლეს მოქალაქეებმა და 9 საათიდან 14 საათამდე ადგილზე გაეცნენ ჩვენს სასწავლო პროგრამებს.

14:00-დან 16:00 საათამდე მიმდინარეობდა კრიტიკული აზროვნების განვითარება: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა. ჩვენ ერთად ვაქცევთ განათლების მიღებას სასიამოვნო პროცესად.

მალე დაიწყო შავი ზღვის სანაპიროდან სპეციალურად ჩამოტანილ ქვიშაზე ხატვა.

აქტივობების დასასრულს, საღამოს 7 საათზე მოვუსმინეთ მხიარული ინგლისური მუსიკის მელოდიებს.

გვეწვიეთ, ფალიაშვილის ქ. №2-ში (გაზეთი „ბორჯომი-ს რედაქცია) და აირჩიეთ თქვენთვის სასურველი აქტივობის 1 საათი და ეს დრო შემეცნებითად გაატარეთ ჩვენთან

1. „მანტია"-ს თავისუფალი დრო;
2. ქვიშაზე ხატვა;
3. წყალზე ხატვა,

**კრიტიკული აზროვნების განვითარება:**

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. მათემატიკა;
3. ინგლისური ენა;
4. მხატვრული კითხვის დრო;
5. ხელნაკეთი ნივთების დამზადება (მეორადი მასალების ახალი სიცოცხლე);
6. უსაფრთხო ექსპერიმენტული გაკვეთილები (ბუნებისმეტყველება);
7. სააზროვნო სქემები;
8. ჩემი ზღაპარი (დაწერე, შექმენი კომიქსი ან დახატე შენი ზღაპარი);

**იზა იანვარაშვილი,**
შემეცნებითი ცენტრ „მანტიას" ხელმძღვანელი.

## თამარ აიწურაძის გახსენება



სამი წლის წინ, 5 მაისს, შეწყდა შენი გულისცემა ჩემო თამარ, მართალია წნევები გაწუხებდა, მაგრამ ნამდვილად არ მოველოდით შენ ასე უეცრად დაღუპვას. წახვედი და დაგვიტოვე სითბო, სიყვარული, რომელიც შენში უხვად იყო.

შენი იმქვეყნად გადასვლის დღეს შენ საფლავზე გავედი, სანთლები დაგინთე, შესანდობარიც შევსვი, შენ თავს რა დამავიწყებს. ჩვენ ხომ ერთადერთი შვილი გიორგი გვყავს, უკვე შემდგარი ვაჟკაცია, დამოუკიდებლად აგრძელებს ცხოვრებას. ახლა დროებით საზღვარგარეთ არის წასული და სულ დაცარიელდა სახლი. როგორც მე მასაც ძალიან ენატრები, მონატრება უსაზღვროა.

თავს ზემოთ ძალა აღარ გვაქვს, ვაგრძელებთ უშენოდ ცხოვრებას, შენ ისეთი ცხოვრებით ცხოვრობდი, ნამდვილად დატოვე კვალი საზოგადოებაში. 35 წელი მუსიკალურ სასწავლებელში ბავშვებს მუსიკისადმი სიყვარულს და ცოდნას უნერგავდი, ამიტომ არის, რომ სიყვარულით გიხსენებენ.

მეუღლე **ჟუმბერი,**
შვილი - **გიორგი აიწურაძეები**

## დათო სახელაშვილის გახსენება



ჩვენო დათო! რვა ივნისს 51 წლის გახდებოდი, მეცამეტე წელია რაც უშენოდ ვხვდებით ივნისის ამ ლამაზ დღეს. მიუხედავად ყველაფრისა ჩვენთვის, შენი ახლობლებისთვის, ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის, ყველასთვის, ვისაც უყვარდი ეს დღე მუდამ შენი მოგონებით სავსე იქნება. ივნისივით ლაღი იყავი და გიხაროდა სიცოცხლე. აქედან გილოცავთ ყოველ წელს, მოგიგონებთ, სანთელს დაგინთებთ. განსაკუთრებით გვიყვარს ეს დღე, მწარეა, რომ მას უშენოდ ვხვდებით, მაგრამ ტკბილ-მწარე მოგონებებით ვიბრუებთ თავს. სხვამ რამ უნდა გვანუგეშოს? დედას შვილი არ უნდა უკვდებოდეს! მაგრამ რას ვიზამთ, ბედისწერას ვერ შევცვლით, უნდა ვიცოცხლოთ, რომ მოგიგონოთ.

ნათელში იყავი, ჩვენო ბიჭო, უფალს ებარებოდე, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ბაკურიანის მიწა.

**დედა, და ოჯახით**

ნიკოლოზ კურტანიძე და მაია ბაბუნიძე იუწყებიან **ბესიკ მელიქიძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბაკურიანის საჯარო სკოლის მე-II ბ კლასის ხელმძღვანელი **მაია ბაბუნიძე,** ამავე კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი მელიქიძეს მამის **ბესიკ მელიქიძის** გარდაცვალების გამო

გურამიშვილის ქუჩის №2 ბინის მცხოვრები მეზობლები თანაგრძნობას უცხადებენ თამარ და თამაზ მეტრეველებს შვილის **ვახტანგის** ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

შოკირებულები და განადგურებულები მერაბ ჯანიაშვილი და ნათელა იჩქიტიძე სამძიმარს უცხადებენ თამარ და თამაზ მეტრეველებს უფროსი შვილის **ვახტანგის** ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". თბილისი, თევდორე მღვდლის №57
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე